



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ.
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia.

www.ozurgeti.gov.ge

ქ.ოზურგეთი

N 126
30/10/2017

126-03-4-201710301237



ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

**გურამ ბერძენიშვილთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების
მოქმედების შეწყვეტის შესახებ**

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 35-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ და „კ“ პუნქტების, 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტის, „საქართველოს შრომის კოდექსი“-ს 37-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ პუნქტის და „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 2 აგვისტოს N1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 17-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :


1. დაკმაყოფილდეს ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის ექსპერტ-კონსულტანტის გურამ ბერძენიშვილის მოთხოვნა (2017 წლის 23 ოქტომბრის შემოსვლ. N88 განცხადება) და მისი წერილობითი განცხადების საფუძველზე, შრომითი ხელშეკრულების მოქმედება შეუწყდეს 2017 წლის 1 ნოემბრიდან.

2. ბრძანება გადაეზავნოს ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში (მის: ოზურგეთი ი.სიორიძის ქ. #14)

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

ნინო გოგუაძე



საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი
ხელმძღვანელობა